

**პირველი ქართული მშრალი ლვის საფურის – GE 02-ის გამოყენება
თეთრი ლვინების დარღვევაში**

ელენე სალია, თამარ ლვინიძე, გიორგი დაქიშვილი, თემურ ორთოიძე

(საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, ლვინის ქარხანა „შუხმან ვაინს ჯორჯია“)

რეზიუმე: მოცემულია პირველი ქართული მშრალი ლვინის საფურის – GE 02-ის ლი-
ოფილური შრობის შედეგები, რომლებითაც დადასტურდა ამ შტამის გენეტიკური სტა-
ბილურობა და მისი აქტიურობისა და ყველა ტექნიკოგიური მახასიათებლის შენარჩუნება
ლიოფილური შრობის შემდეგ. გარდა ამისა, წარმოდგენილია აღნიშნული მშრალი საფურ-
რის გამოყენებით მიღებული თეთრი ლვინების ქიმიური მახასიათებლები და ორგანოლე-
პტიკური მაჩვენებლები.

ნაჩვენებია, რომ რქაწითლის ჯიშისაგან მშრალი ლვინის საფურის – GE 02-ის გამო-
ყენებით მიღებული ევროპული ტიპის ლვინო მაღალი ხარისხისაა, დია ჩაღისფერია, აქვს
ხალისიანი, ცოცხალი, მსუბუქი, სახიამოვნო გემო და ახასიათებს მწვანე ვაშლის, კომშის,
მსხლისა და ტროპიკული ხილის ნაზი არომატი. 5-ბალიანი სისტემით ორგანოლეპტიკური
შეფასებისას ლვინომ 3,83 ბალი მიიღო.

საკვანძო სიტყვები: ალკოჰოლური დუღილი; გენეტიკური სტაბილურობა; ლიოფილუ-
რი შრობა; ორგანოლეპტიკური მახასიათებლები; ლვინის საფუარი; ლვინის ქიმიური ანალი-
ზი; შტამი.

შესავალი

ლვინო საფურების ცხოველქმედების პროდუქტია. ყველა ქიმიური ცვლილება, რომე-
ლიც ყურძნის წევები დუღილის პროცესში ხდება, საფურის ფერმენტული სისტემის მონა-
წილეობით მიმდინარეობს.

აღსანიშნავია, რომ სპირტული დუღილის პროცესში წარმოიქმნება არა მარტო ძირი-
თადი პროდუქტები – ალკოჰოლი და ნახშირორეანგი, არამედ მთელი რიგი მეორეული და
გერედითი პროდუქტები, როგორიცაა: ეთერები, ალდეჰიდები, გლიცერინი, უმაღლესი სპირ-
ტები, ლიპიდები და სულფატიდრილური ნაერთები, რომლებიც ძირითად როლს ასრულებს
ლვინის გემოს, არომატისა და ბუკეტის ჩამოყალიბებაში. ამავე დროს იცავს მას არასა-
სურველი უანგვითი პროცესებისაგან დავარგებისა და დაძველების პროცესში [1-3].

გასული საუკუნის ბოლოს ქართული მედვინეობა აპრობაციის გარეშე სტიქიურად
გადავიდა უცხოური მშრალი საფურის გამოყენებაზე, რაც განაპირობა მშრალი საფურ-
რის მოხმარებისა და შენახვის სიმარტივემ და ქართული ანალოგის არარებობამ.

როგორც ცნობილია, XX საუკუნის შუა წლებში საქართველოს მებადეობის, მეგნა-
ხეობისა და მედვინეობის ინსტიტუტის ლვინის მიკრობიოლოგიის ლაბორატორიაში შეიქმნა
ქართული ლვინის საფურის საწარმოო წმინდა კულტურების კოლექცია, რომლის შტამები
სანგრძლივი დროის განმავლობაში გამოიყენებოდა ქართულ მედვინეობაში სხვადასხვა

ადგილობრივი ვაზის ჯიშებისაგან დგინოების წარმოებისათვის. გერმანელი კოლეგების დახმარებით რამდენიმე საკოლექციო შტამი შემოწმდა გამოშრობაზე, მაგრამ კვლევის დროს გამოვლინდა მათი გენეტიკური არასტაბილურობა ლიოფილური შრობისას.


ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიზნად დავისახეთ ქართული დვინის საფუვრის ახალი, მაღალი ტექნოლოგიური მახასიათებლების მქონე შტამების სელექცია და მათი შშრალი ფორმების მიღება ქართულ მედიცინური გამოსაყენებლად.

ძირითადი ნაწილი

დვინის მიკრობიოლოგიური კვლევის სტანდარტული მეთოდების გამოყენებით [4] რქაწილის ჯიშისაგან სპონტანური დუღილით დამზადებული დვინის ლექისაგან გამოყოფილი შტამებისაგან, პირველადი სელექციის გზით (კოლონიების ზომის მიხედვით) შეირჩა 100 შტამი.

ამ შტამების ძირითადი ტექნოლოგიური მახასიათებლების – დუღილის ენერგიის, უჯრედთა გამრავლების ინტენსიურობის, სულფიტ- და სპირტმდგრადობის და დუღილის ტემპერატურული დიაპაზონის შესწავლის საფუძველზე გადარჩეულ იქნა წარმოებისათვის პერსპექტიული 5 შტამი: GE 01, GE 02, GE 03, GE 04, GE 05. ლაბორატორიულ პირობებში ჩატარებული ლიოფილური შრობის შემდეგ მიღებული შშრალი ფორმების აქტიურობის შემოწმების შემდეგ შტამი GE 02, რომელმაც სრულად შეინარჩუნა ყველა ტექნოლოგიური მახასიათებელი [5].

ჩვენმა უცხოელმა პარტნიორებმა, სამეცნიერო-საწარმოო ცენტრის „უვაფერმის“ (ავსტრია) თანამშრომლებმა, შეისწავლეს აღნიშნული შტამის გენეტიკური სტაბილურობა და შეიმუშავეს საფუვრის გამოშრობის ისეთი მეთოდიკა, რომელიც შრობის შემდეგ საფუვრის წმინდა კულტურას უნარზუნებს აქტიურობას და მისთვის დამახასიათებელ ყველა თვისებას. შრობამდე და შრობის შემდეგ ჩატარდა შტამი GE 02-ის დნმ-ის ელექტროფორეზი სტანდარტული მეთოდის [6] გამოყენებით, რომლის შედეგები წარმოდგენილია 1-ლ ნახ-ზე.



ნახ. 1. დნმ-ის ელექტროფორეზი: 1 – დნმ-ის სიგრძის განმსაზღვრელი სტანდარტული მარკერი; 2 – შტამი GE 02-ის დნმ შრობის შემდეგ; 3 – შტამი GE 02-ის დნმ შრობამდე (კონტროლი)

1-ლი ნახ-დან ჩანს, რომ შტამი GE 02-ის დნმ არ იცვლება ლიოფილურად შრობის შედეგად, რაც უტყუარი მტკიცებაა იმისა, რომ GE 02 ინარჩუნებს თავის აქტიურობას. ეს კი მთავარი ფაქტორია შშრალი საფუვრის მისაღებად [6].

მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით, ფირმა DANSTAR-Ferment AG-ს შევუკვეთეთ შტამი GE 02-ის მშრალი ფორმის საცდელი რაოდენობა (50 კგ), რომლის მიკრობიოლოგიური ანალიზის შედეგები მოცემულია 1-ლ ცხრილში. ცხრილის მონაცემები ადასტურებს საცდელი ნიმუშის მიკრობიოლოგიურ სისუფთავეს და მისი გამოყენების უვნებლობას. გარდა ამისა, GE 02-ის მშრალ ფორმაში განისაზღვრა მშრალი ნივთიერების საერთო რაოდენობა – 92,53 % და პროცენტის შემცველობა – 40,7 %, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებლებია.

ცხრილი 1

GE 02 შტამის მშრალი ფორმის მიკრობიოლოგიური ანალიზი

სიცოცხლის-უნარიანი უჯრედების რაოდენობა	უჯრედთა საერთო რაოდენობა	კოლი-ფორმების რაოდენობა	სტაფილოკო-ქები	E.Coli	სალმონელა	ველური საფუარი
8,00E +09	9,10E+03	6,20E+03	Neg.	Neg.	Neg.	≤10

კვლევის მომდევნო ეტაპზე ჩატარდა საცდელი მშრალი საფუარის – GE 02-ის საწარმო გამოცდა. მისი გამოყენებით ქარხანა „შუხმან ვაინ კომპანიშ“ რქაწითლის ჯიშის ფურმნის ტკბილისაგან დამზადდა ევროპული ტიპის ღვინო. დუღილი მიმდინარეობდა 17 – 18 °C ტემპერატურაზე 14 დღის განმავლობაში, როგორც საკონტროლო უცხოური საფუარის შემთხვევაში.

ღვინის ქიმიური შედეგებილობა შესწავლილ იქნა ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის (O.I.V.) მიერ შემუშავებული სტანდარტებით [7]. ორგანოლეპტიკურად შეაფასა ღვინის საგამოცდო ლაბორატორიის სადეგუსტაციო კომისიამ. შედეგები იხილეთ მე-2 ცხრილში.

ცხრილი 2

შტამის გამოყენებით მიღებული ღვინის ქიმიური ანალიზისა და საღეგუსტაციო შეფასების შედეგები

ალკოჰოლი, მლ.გ. ქრო, %	ტარანი, გ/ლ	ქროლაცია მქანა, გ/ლ	მსნელი, გ/ლ	ვაშლის მქანა, გ/ლ	ლავინის მქანა, გ/ლ	საქროო ფენოლები გ/ლ	საღეგუსტაციო შეფასების განაკვეთი
12,30	1,35	0,47	16,3	1,39	1,76	180	3.83

როგორც ცხრილიდან ჩანს, ყველა მონაცემი შეესაბამება ევროპული ტიპის ღვინოებისთვის დამახასიათებელ პარამეტრებს: ღვინო არის ღია ჩალისფერი, გამჭვირვალე, სხივიანი; აქეს მწვანე ვაშლის, კომშის, მსხლისა და ტროპიკული ხილის ნაზავის ნაზი არმატი, გემო კი ხალისიანი, ცოცხალი, მსუბუქი და სასიამოვნო. ორგანოლეპტიკური შეფასების მიხედვით, 5-ბალიან სისტემაში მან 3,83 ბალი დაიმსახურა.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართული საფუვრის ალტერნატივას წარმოადგენდა ფრანგული საფუარი: Zymaflore VL2, Laffort. აღმოჩნდა, რომ ფრანგული საფუვრით წარმოებულ ღვინოში შედარებით მაღალია უშაქრო ექსტრაქტი – 18,9 გრ/ლ, ასევე მაღალია ფენოლები – 210 გრ/ლ, ამიტომ არომატი არის შედარებით მკვეთრი, თუმცა ამ ღვინოებში ალკოჰოლის შემცველობა შედარებით დაბალია – 12,1 % მოცულობითი ერთეული. მიუხედავად ამ განსხვავებებისა, ქართული მშრალი საფუვრით დამზადებული ღვინო საკმაოდ მაღალი ხარისხისაა და იმსახურებს ყურადღებას.

ღვინის მშრალი საფუარი – GE 02 გამოიცადა რქაწითლის ჯიშისაგან კახური ტიპის ღვინის მიღებისას. დუღილი 24 °C ტემპერატურაზე 6 – 7 დღის განმავლობაში თანაბრად მიმდინარეობდა, რის შედეგადაც მიღებულ იქნა საკმაოდ მაღალი ხარისხის კახური ტიპის ღვინო.

GE 02 საფუვრის გამოყენებით დამზადა აგრეთვე ქვევრის ღვინოები ისეთი ჯიშებისაგან, როგორიცაა: რქაწითლი, ქისი და კახური მწვანე. თავიდან დუღილი მიდიოდა ნიადაგის ტემპერატურაზე, შემდეგ მატულობდა 22–24 °C-მდე. აღსანიშნავია, რომ დუღილი არ იყო ზედმეტად ინტენსიური, რაც სასურველია ღვინის საბოლოო პროფილისთვის. წარმოებული ღვინის ორგანოლეპტიკური შეფასებაც საკმაოდ მაღალია.

დასკვნა

ზემოთ მოყვანილი შედეგებიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩვენ მიერ გამოყოფილი ქართული ღვინის საფუვრის საწარმოო წმინდა კულტურა – შტამი GE 02 ლიოფილურად შრობის შემდეგ ინარჩუნებს გენეტიკურ სტაბილურობას და ყველა ტექნოლოგიურ მახასიათებელს, როგორიცაა მაღალი დუღილის ენერგია და გამრავლების ინტენსიურობა, სულფიტ- და სპირტმდგრადობა, დაბალ ტემპერატურებზე აქტიური დუღილის უნარი. ადნიშნული შტამის მშრალმა ფორმამ წარმატებით გაიარა საწარმოო გამოცდა; კერძოდ, მისგან დამზადებული როგორც ევროპული, ისე კახური ტიპისა და ქვევრის ღვინები საკმაოდ მაღალი ხარისხისაა. აქედან გამომდინარე, თამამად შეიძლება გაეწიოს რეკომენდაცია პირველი ქართული ღვინის საფუვრის – GE 02-ის მშრალი ფორმის გამოყენებას ქართულ მეღვინეობაში.

ავტორები მადლობას უხდიან „უვაფერმის“ დირექტორს, ბატონ კარლ ბურგერს გაწეული დახმარებისათვის.

ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. Щербаков С. С., Потий Е. А., Солодянникова Е. А. Образование серосодержащих соединений сульфитоустойчивыми штаммами дрожжей// Известия вузов, «Пищевая технология», № 3-4, 1993, с. 23-25.
2. H. H. Niuwoudt, B. A. Prior, I. S. Pretorius, M. Manley, F. F. Bauer. Principal Component Analysis Applied to Fourier Transform Infra-red Spectroscopy for the Design of Calibration Sets for Glycerol Prediction Models in Wine and for the Detection and Classification of Outlier Samples// J. Agric. Food Chem., 52 (12), 2004, pp. 3726–3735. DOI: 10.1021/jf035431q
3. Usseglio-Tomasset L. Chimica Enologica. AEB, Brescia, 1995. - 291 pp.
4. Бурьян Н. И. Практическая микробиология виноделия. Симферополь, 2003. - 378 с.
5. Салия Е. Ш., Гвинадзе Т. О., Ортоидзе Т. В. Первый лиофильно высушенный грузинский штамм эндемных винных дрожжей GE 02 // Georgian Engineering News, N1, 2017, с.161-163.
6. D. E. Garfin. One-dimensional gel electrophoresis. Methods in Enzymology. Bd.463, doi: 10.1016/S0076-6879(09)63029-9, 2009, pp. 497-513.
7. Compendium of International Methods of Wine and Must Analysis. O.I.V., Paris, 2012.

THE USE OF DRY GEORGIAN WINE YEAST GE 02 IN PRODUCTION OF WHITE WINES

E. Salia, T. Gvinidze, G. Dakishvili, T. Ortoidze

(Agricultural University of Georgia, Wine Factory “Schuchmann Wines Georgia”)

Resume: As it is known, at the end of the last century, Georgian winemaking actively switched on the use of international dry yeast due to the absence of its Georgian analog. However, yeast is of great importance to the quality of wine. Therefore, the existence of dry Georgian wine yeast is essential to maintain the authenticity of Georgian wines. The above research serves the aim.

There is given the active strain of yeast GE 02 from Rkatsiteli wine lees is genetically stable and is subject to lyophilic desiccation; It is characterized by all the essential qualities required for the high quality wine yeast – fast and regular fermentation kinetics, resistance to the wide range of temperature between 15 – 35 °C, low nutrient demand and forms little SO₂, alcohol tolerance up to 15 % by vol.

The dry yeast received from the strain GE 02 was used to produce white wine from Rkatsiteli variety. As shown in the research material, all the chemical parameters of the wine produced correspond to the characteristic features of the high quality of white wines. The wine has pale straw color with greenish tint, with fresh aromas of green apple, quince, pear and tropical fruit. The taste is cheerful, lively, light and pleasant. According to the organoleptic assessment, it received 3,83 points in the 5-point system. Therefore, the authors of the first Georgian wine dry yeast – GE 02 recommend its application in Georgian winemaking.

Key words: alcoholic fermentation; chemical analysis of wine; genetic stability: lyophilic desiccation; organoleptic characteristics; wine yeast; shtamm.

ТЕХНОЛОГИЯ ВИН

ИСПОЛЬЗОВАНИЕ ПЕРВЫХ ГРУЗИНСКИХ СУХИХ ВИННЫХ ДРОЖЖЕЙ GE-02 В ПРОИЗВОДСТВЕ БЕЛЫХ ВИН

Салия Е. Ш., Гвинидзе Т. О., Дакишвили Г. Т., Ортоидзе Т. В.

(Аграрный университет Грузии, Винный завод “Шухман вайнс джоржиа”)

Резюме. Приведены данные лиофильного высушивания нововыделенного штамма грузинских винных дрожжей GE 02, которые свидетельствуют о генетической стабильности указанного штамма и сохранения им активности и основных технологических свойств после высушивания. Также представлены результаты производственного испытания сухой формы указанного штамма, в частности, химические и органолептические показатели белого вина европейского типа, полученного из сорта Ркацители применением сухого штамма GE-02.

Из приведенных результатов следует, что вино характеризуется высоким качеством, имеет соломенный оттенок, оно лёгкое, живое, с приятным вкусом и нежным ароматом зелёных яблок, груш, айвы и тропических фруктов. При органолептической оценке по 5-балльной системе вино получило 3,83 баллов.

Ключевые слова: алкогольное брожение; лиофильная сушка; генетическая стабильность; органолептические показатели; штамм.